ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 15231788**

თარიღი:**27/06/2023**

ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველას და დავით კლდიაშვილის ქუჩების კვეთაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე იზოლდა სამსონიას მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. იზოლდა სამსონიას ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, ვაჟა-ფშაველას (N9) და დავით კლდიაშვილის ქუჩების კვეთაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მემორიალური დაფის განთავსებას, თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი).

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი